ლექცია VI

მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა

გივი კუპატაძე
დოქტორობის კანდიდატი - ესტონეთის ბიზნეს სკოლა
მეცნიერებათა მაგისტრი - ტარტუს უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
30 ნოემბერი - 2 დეკემბერი, 2016 წელი

მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა

- თავისუფალ, რეგულაციების გარეშე მოქმედ საბაზრო სისტემში, საბაზრო ძალები განსაზღვრავენ წონასწორობის ფასსა და გაცვლის რაოდენობას.
- წონასწორობის მდგომარეობა შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუმცა ასევე შესაძლოა, რომ წონასწორობის დროს ყველა არ იყოს კმაყოფილი.
- ეკონომისტების ერთ-ერთი როლი იმაში მდგომარეობს, რომ დახმარება გასწიონ პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

ფასების კონტროლი

- ფასების კონტროლი ძირითადად ხორციელდება როდესაც პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ ფასები არასამართლიანია მყიდველების ან გამყიდველების მიმართ.

- ფასების კონტროლი ვლინდება მთავრობის მიერ შექმნილ ფასების ზედა ზღვარის (ჭერის) [ceilings] და ფასების ქვედა ზღვარის (იატაკის ან ფსკერის) [floors] დაწესებაში.

ფასების კონტროლი

- ფასების ზედა ზღვარი(ჭერი)
  - კანონით განსაზღვრული ფასის მაქსიმუმი (ზედა ზღვარი), რომლითაც შეიძლება საქონელი გაიყიდოს.
- ფასების ქვედა ზღვარი (იატაკი ან ფსკერი)
  - კანონით განსაზღვრული ფასის მინიმუმი (ქვედა ზღვარი), რომლითაც შეიძლება საქონელი გაიყიდოს.

როგორ ზემოქმედებს ფასების ზედა ზღვარი საბაზრო შედეგებზე

- ორი შედეგი არის შესაძლებელი, როდესაც მთავრობა აწესებს ფასების ზედა ზღვარს:
  - ფასების ჭერი არ არის შემზღუდველი თუ წონასწორობის ფასზე მეტია.
  - ფასების ჭერი შემზღუდველია თუ წონასწორობის ფასზე ნაკლებია და იწვევს დეფიციტს.

ბაზარი ფასის ზედა ზღვარით

(ა) ფასის ჭერი, რომელიც არ არის შემზღუდველი



ბაზარი ფასის ზედა ზღვარით



როგორ ზემოქმედებს ფასების ზედა ზღვარი საბაზრო შედეგებზე

- შემზღუდველი ფასის ჭერი ქმნის:
  - დეფიციტს, რადგან $Q_D > Q_S$.
    - მაგალითი: ბენზინის დეფიციტი 1970-იან წლებში.
  - არასაფასო ნორმირება (rationing)
    - მაგალითი: გრძელი რიგები, გამყიდველების მიერ დისკრიმინაცია.

მაგალითი: რიგები ბენზინგასამართ სადგურებთან

- 1973 წელს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (OPEC) გაზარდა ნედლი ნავთობის ფასი. ნედლი ნავთობი მთავარი რესურსია ბენზინის საწარმოებლად და შესაბამისად, მაღალმა ნავთობის ფასმა შეამცირა ბენზინის მიწოდება.
- რამ გამოიწვია გრძელი რიგები ბენზინგასამართ სადგურებთან?

- ეკონომისტები აბრალებენ სამთავრობო რეგულაციებს, რომლებმაც მოახდინეს ფასის ზედა ზღვარის განსაზღვრა რომელიც ნავთობ კომპანიებს შეეძლოთ დაწესებინათ ბენზინზე.

ბენზინის ბაზარი ფასის ზედა ზღვარით

(ა) ფასის ჭერი ბენზინზე, რომელიც არ არის შემზღუდველი



ბენზინის ბაზარი ფასის ზედა ზღვარით

(ბ) ფასის ჭერი ბენზინზე რომელიც შემზღუდველია



მაგალითი: ქირის კონტროლი მოკლე და გრძელვადიან პერიოდში

- ქირის კონტროლი ფასის ზედა ზღვარია დაწესებული ქირაზე, რომელიც შეიძლება გადაახდევინოს ბინის მესაკუთრემ დამქირავებელს.
- ქირის კონტროლის პოლიტიკის მიზანია ღარიბებისათვის დახმარების გაწევა, რომ სახლის ქირაობა გახდეს უფრო ხელმისაწვდომი.
- ერთმა ეკონომისტა ქირის კონტროლს უწოდა "დაბომბვის შემდეგ ქალაქის განადგურების საუკეთესო გზა."

ქირის კონტროლი მოკლე და გრძელვადიან პერიოდში



ქირის კონტროლი მოკლე და გრძელვადიან პერიოდში



როგორ ზემოქმედებს ფასების ქვედა ზღვარი საბაზრო შედეგებზე

- როდესაც მთავრობა აწესებს ფასის იატაკს (ქვედა ზღვარს), ორი შედეგია შესაძლებელი.
- ფასის იატაკი (ფსკერი) არ არის შემზღუდველი თუ წონასწორულ ფასზე ქვემოთაა დაწესებული.
- ფასის იატაკი შემზღუდველია თუ წონასწორულ ფასზე ზემოთაა დაწესებული და იწვევს სიჭარბეს.

ბაზარი ფასის ქვედა ზღვარი

(ა) ფასის იატაკი, რომელიც არ არის შემზღუდველი



ბაზარი ფასის ქვედა ზღვარი

(ბ) ფასის იატაკი, რომელიც შემზღუდველია



როგორ ზემოქმედებს ფასების ქვედა ზღვარი საბაზრო შედეგებზე

- ფასის იატაკი ხელს უშლის მიწოდებასა და მოთხოვნას, რომ იმოძრაონ წონასწორული ფასისა და რაოდენობისკენ.
- როდესაც საბაზრო ფასი მივა ფასის იატაკამდე, იგი ველარ შეძლებს კიდევ უფრო შემცირებას და საბაზრო ფასი უტოლდება ფასის ქვედა ზღვარს.

როგორ ზემოქმედებს ფასების ქვედა ზღვარი საბაზრო შედეგებზე

- შემზღუდველი ფასის იატაკი იწვევს . . .
  - სიჭარბეს რადგან $Q_S > Q_D$.
  - არასაფასო ნორმირება საქონლის ნორმირების ალტერნატიული მექანიზმია, რომელიც იყენებს დისკრიმინაციულ კრიტერიუმს.
    - მაგალითები: მინიმალური ხელფასი, სოფლის მეურნეობის საფასო მხარდაჭერა.

მინიმალური ხელფასი

- ფასის იატაკის მნიშვნელოვანი მაგალითია მინიმალური ხელფასი. მინიმალური ხელფასის კანონი განსაზღვრავს შრომაზე ყველაზე დაბალ ფასს, რაც შეიძლება გადაიხადოს დამსაქმებელმა.

როგორ ზემოქმედებს მინიმალური ხელფასი შრომის ბაზარე



როგორ ზემოქმედებს მინიმალური ხელფასი შრომის ბაზარე



გადასახადები

- მთავრობა კრეფს გადასახადებს საჯარო პროექტების დასაფინანსებლად საჭირო შემოსავლის მისაღებად.

ელასტიურობა და გადასახადის მოქმედების სფერო (Tax Incidence)

- გადასახადის მოქმედების სფერო არის ის გზა, რომლითაც გადასახადის წნეხი განაწილებულია ბაზრის მონაწილეებზე.
- გადასახადის მოქმედების სფერო სწავლობს ვინ კისრულობს საკუთარ თავზე გადასახადის წნეხს.
- გადასახადები იწვევს საბაზრო წონასწორობის შეცვლას.
- მყიდველები იხდიან მეტს და გამყიდველები იღებენ ნაკლებს, იმის მიუხედავად თუ ვისზეა გადასახადი დაწესებული.

გადასახადი მყიდველებზე



ელასტიურობა და გადასახადის მოქმედების სფერო (Tax Incidence)

- რა ზეგავლენა მოახდინა გადასახადმა?

— გადასახადები საბაზრო აქტივობას აფერხებს.

— როდესაც საქონელზე გადასახადი წესდება, ამ საქონლის გაყიდული რაოდენობა მცირდება.

— მყიდველები და გამყიდველები იზიარებენ საგადასახადო წნეხს.

გადასახადი გამყიდველებზე



სახელფასო გადასახადი



ელასტიურობა და გადასახადის მოქმედების სფერო (Tax Incidence)

- რა პროპორციით არის გაყოფილი საგადასახადო წნეხი?
- როგორ შეიძლება შევადაროთ გადასახადის ეფექტები რომლებსაც იწვევს გადასახადები დაწესებული გამყიდველებზე, გადასახადების ეფექტებთან რომლებსაც იწვევს გადასახადები დაწესებული მყიდველებზე?
- ამ კითხვებზე პასუხი დამოკიდებულლია მიწოდებისა და მოთხოვნის ელასტიურობაზე.

როგორ არის გაყოფილი საგადასახადო წნეხი

(ა) ელასტიური მიწოდება და არაელასტიური მოთხოვნა



როგორ არის გაყოფილი საგადასახადო წნეხი

(ბ) არაელასტიური მიწოდება და ელასტიური მოთხოვნა



ელასტიურობა და გადასახადის მოქმედების სფერო (Tax Incidence)

ე.ი. როგორ ნაწილდება საგადასახადო წნეხი?

- საგადასახდო წნეხი უფრო მეტად აწვება ბაზრის იმ მხარეს, რომელიც ნაკლებად ელასტიურია.

შეჯამება

- ფასის კონტროლი მოიცავს ფასების ზედა და ქვედა ზღვარს.
- ფასის ჭერი საქონლის ან მომსახურების ფასის ლეგალური მაქსიმუმია. მაგალითად, ქირის კონტროლი.
- ფასის იატაკი საქონლის ან მომსახურების ფასის ლეგალური მინიმუმია. მაგალითად, მინიმალური ხელფასი.

შეჯამება

- გადასახადები გამოიყენება საჯარო მიზნებისთვის შემოსავლის მისაღებად.
- როდესაც მთავრობა გადასახადს აწესებს საქონელზე, საქონლის წონასწორული რაოდენობა მცირდება.
- გადასახადი საქონელზე ქმნის წნეხს (ტვირთს), რომელიც აისახება ფასში რასაც მყიდველები იხდიან და ფასში რასაც გამყიდველები იღებენ.

შეჯამება

- გადასახადის მოქმედების სფერო უჩვენებს ვინ კისრულობს საგადასახადო ტვირთს საკუთარ თავზე.
- გადასახადის მოქმედების სფერო არ არის დამოკიდებული იმაზე თუ ვისზეა დაწესებული გადასახადი (მომხმარებელზე თუ გამყიდველზე).
- გადასახადის მოქმედების სფერო დამოკიდებულია მიწოდებისა და მოთხოვნის ელასტიურობაზე.
- გადასახადის სიმძიმე უფრო მეტად აწვება ბაზრის იმ მხარეს, რომელიც უფრო ნაკლებად ელასტიურია.